ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №14. 14240806

თარიღი:20/03/2024

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების ჩატარების ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტის გადაადგილების ტაბელი (ფორმა), თანახმად დანართი 3-სა;

დ) მომსახურების გამწევთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემ ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 იანვრის №14.14240163 ბრძანება.

6. წინადებარე ბრძანაბა გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დანართი 1
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის 20 მარტის
№ბ14. 14240806 ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება ღონისძიების მიზანია გადამზადებული პერსონალური ასისტენტების მიერ, 18 წლის ასაკის ზემოთ იმ შშმ ეტლით მოსარგებლე (პირველ რიგში) და სხვა შშმ პირებს (სულ 20), რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობენ (სწავლობენ, მუშაობენ, ეწევიან სხვადასხვა აქტივობებს (სპორტული, კულტურული)) და/ან არიან ეტლით მოსარგებლეები (პირველ რიგში) გაეწევათ რეგულარული ასისტირება (თვეში მაქსიმუმ 60 საათის განმავლობაში, საჭიროების გათვალისწინებით) პერსონალური ასისტენტის სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანების საფუძველზე.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შშმ პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგ-რამის ფარგლებში ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურე-

ბელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ ერთი წელი;

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტიური დღეების ხარჯზე, ერთი დღე - 14 ლარი.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

დანართი 2
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის 20 მარტის
№ბ14. 14240806 ბრძანებით

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის (20 პირი) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება“ ღონისძიების ჩატარების ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარის წარმომადგენელი ან ბენეფიციარი განცხადებით და თანმხლები დოკუ-მენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ -ფორმა №IV-100/ა;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი 6 (ექვსი) თვეში ერთჯერ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს მომსახურება დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით.

დამტკიცებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
2024 წლის 20 მარტის
№№ბ14. 14240806 ბრძანებით

(პროექტი)

ხელშეკრულება
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის
სერვისის მიწოდების თაობაზე

ქ. ბათუმი **..... ..... 2024 წ**

1. ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში „განმახორციელებელი“),წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის _____ მარტის N_____ ბრძანების თანახმად და მეორეს მხრივ, _____ _____ საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი: _____, შემდგომში „მიმწოდებელი“) , შევთანხმდით და წინამდებარე ხელშეკრულებას ვაფორმებთ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ასრულებს განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ პერსონალური ასისტირების მომსახურების სერვისს **(შემდგომში „მომსახურება“)** , ხოლო განმახორციელებელი უზრუნველყოფს უზრუნველყოფს პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსებას, ვაუჩერის საფუძველზე. მომსახურება გულისხმობს სერვისს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს („ბენეფიციარი“) უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

2.2. მომსახურების მიღების მიზნით ბენეფიციარზე განმახორციელებლის მიერ გაიცემა ვაუჩერი.

2.3. მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი მომსახურების და განმახორციელებლის დაფინანსების ოდენობა და მოცულობა, აგრეთვე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, განისაზღვრება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანებით და განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული პროგრამით, აგრეთვე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით.

2.4. 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაეწევა პროგრამაში ჩართულ არაუმტეს 20 პირს.

3. დაფინანსების ოდენობა და მათი გადახდის წესი:

3.1. განმახორციელებელი უზრუნველყოფს რეგულარული ასისტირებისთვის თვეში გაწეული არაუმეტეს 60 საათის მომსახურების დაფინანსებას.

3.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ერთი ერთეული საათის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 14 ლარს. დაფინანსების ჯამური ოდენობა იანგარიშება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ჯამური ოდენობით.

3.3. დაფინანსება გაიცემა განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. დაფინანსების გაცემის მიზნით მიწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენს განმახორციელებლის მიერ განსაზღვრულ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, ხოლო 2024 წლის 01 მარტიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწულის მომსახურების ანაზღაურების მიზნით მიმწოდებელი ასევე წარადგენს ვაუჩერს.

3.4. დაფინანსების გადახდა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვით.

4. მომსახურების გაწევის პერიოდი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევა ხორციელდება 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდში, კერძოდ, 2024 წლის --- იანვრიდან 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით ვაუჩერის წარდგენის გარეშე (ამ პერიოდში მომსახურეობის გაწევის შესახებ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე), ხოლო 2024 წლის 01 მარტიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ვაუჩერის საფუძველზე.

4.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის 31 იანვრამდე.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი:

5.1. გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის განმახორციელებელს მომსახურეობის შესრულებიდან არა უმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა უნდა წარედგინოს ვაუჩერი, ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი/მომსახურების გაწევის აღრიცხვის ფორმა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება.

5.3. დეკემბრის თვეში გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს არა უგვიანეს 20 დეკემბრისა. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6. გაწეული მომსახურების კონტროლი:

6.1. განმახორციელებელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და მოახდინოს მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის

ინსპექტირება; ინსპექტირებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ----------

6.2. მომსახურების მიმღების ან მისი წარმომადგენლის საჩივრის შესწავლის ან/და ახლად გამოვლენილი გარემოების ნიადაგზე განმახორციელებელ უფლებამოსილია მიავლინოს მიმწოდებელთან თავისი წარმომადგენელი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლისა და მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირების მიზნით ხელშეკრულების ვადის მოქმედების ამოწურვის შემდგომაც.

6.3. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ განმახორციელებლის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები;

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ხელშეწყობის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. საკუთარი რესურსით უზრუნველყოს განმახორციელებელი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით (იმ შემთხვევაში, თუ განმახორციელებელი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი);

6.4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებისას აღმოუჩინოს განმახორციელებელს წარმომადგენლებს სათანადო დახმარება;

6.5. მომსახურების გაწევის ინსპექტირების დროს გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში მიმწოდებელის მიმართ გატარებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

6.6. ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხა მიმწოდებლის მიერ დაბრუნებული უნდა იქნას განმახორციელებლისათვის.

7. ხელშეკრულების შეუსრულებლობის საპატიო გარემოებები:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალ-დებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პასუ-ხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრ-ულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით.

7.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემეობა“ ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავ-ად მხარეთა გონივრული მცდელობებისა.

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდ-ებიან მხოლოდ იმ დროითა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუა-ციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის. დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედე-ბის დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეა-ტყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების დამამტკ-იცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და ორივე მხარემ უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომე-ლიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით.

8. მოთხოვნის უზრუნველყოფა (პირგასამტეხლო):

9.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა , მიმწოდებელი ჯარიმის სახით იხდის შეუსრულებელი ვალდებულების (მომსახურების ღირებულების) 1 %-ს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს განმახორციელებლის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილ ვადებში ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი განმახორციელებელს უხდის პირგასამტეხლოს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის, დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოთხოვნილი თანხის საფასურის 1-% ოდენობით.“.

8.3. განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული პროგრამის ან/და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანებით განსაზღვრული პირობის (პირობების) დარღვევის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტით, მიმწოდებელი განმახორციელებელს უხდის პირგასამტეხლოს გაწეულის მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა):

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს) მხარეთა ორმხვრივი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ადგილი ჰქონდა თუ არა ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას.

9.2. ხელშეკრულება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების კრედიტორი მხარის მიერ მოვალე მხარის ბრალეული ქმედების გამო წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება განცხადების საფუძველზე, რომელიც პირდაპირ უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების მხარის მიერ გამოვლენილ ნებას, რომ იგი ცალმხვრივად შლის (წყვეტს) ხელშეკრულებას.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება 9.3. პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე განცხადების ხელშეკრულების შესაბამის მხარეზე ჩაბარების დღიდან.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში მხარეები აღდგებიან პირვანდელ მდგომარეობაში, რაც ნიშნავს, რომ მხარეებს დაუბრუნდებათ ის, რაც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს მხარეს, ხოლო თუ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შეიცვლება ფულადი ანაზღაურებით.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები:

10.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც ნიშნავს, რომ სადაოობისას არცერთ მხარეს უფლება არ აქვს მიუთითოს, რომ მისთვის ცნობილი არ

იყო ხსენებული სამართლებრივი აქტების ან მისი ცალკეული ნორმისა თუ დებულების თაობაზე.

10.2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და მზად არიან უზრუნველყონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მენარდეს, ხოლო ერთი შემკვეთს. ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10.4. ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს მხარეებს შორის 2024 წლის 17 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდების თაობაზე.

11. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები:

11.1.„განმახორციელებელი“:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელის ორგანო
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
არჩილ ჩიქოვანი

/ ----------/

(ხელმოწერა, სახელი და გვარი)

11.2.„მიმწოდებელი“:

_____

_____

/ ----------/

(ხელმოწერა, სახელი და გვარი)